ირა, 30 ოქტომბერი 1916 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 44

სახელწოდების დღე

ისტორიის მკვლევართა გადმოცემით, ძველ საქართველოში სახელწოდების დღესასწაულზე მოჰქონ-
და თაიგულები, ტკბილეულება და ათასი სხვა უსარგებლო საჩუქრები. მადლობა ღმერთს ეგ ჩვეულე-
ბა საბოლოოთ მოისპო, რასაც ამტკიცებს დღესასწაული ქ-ნ დარეჯან რევაზის ასულ პურაძისა.

ქართველი მოღვაწე დათა ბუქაძე

(შემდეგი*)

კრების შემდეგ „საჩეჩელის“ პირველსავე ნომერში მოთავსებული იყო ვრცელი ანგარიში კამათისა. ანგარიში ასე თავდებოდა:

„სამწუხარო დამსწრე საზოგადოებას მხოლოდ ისღა დარჩა, რომ ჩვენმა სასიქადულო მოღვაწემ, ბ-ნმა დავით ბუქაძემ, ვერ მოახერხა თავისი მრავალმხრივ საყურადღებო მოხსენების წაკითხვა, ვინაიდან ხელნაწერი დაეკარგა. როგორც გავიგეთ, ცნობილ მოღვაწეს განზრახვა აქვს აღნიშნული შრომა აღადგინოს და ცალკე წიგნათ გამოსცეს, რის აღსრულებასაც წრფელის გულით ვუსურვებთ“.

ყოველივე ეს ქალაქში ხდებოდა, ხოლო პროვინციაში, სადაც გაზეთს „ანიდან ჰოიემდე“ კითხულობენ, დავით ბუქაძის სახელი დღითი დღე იზრდებოდა. ექვსი თვეც არ გასულიყო მისი არსებობის პირველხსენებიდან, რომ უკვე სამიოდ საზოგადოების გამგეობაში ამოყო მან თავი და საქმეთა განსჯას ესწრებოდა. პირველ ხანებში დათა ბუქაძე ვერ ეგუებოდა ჩვენებურ საქმიანობას. გაუგებარი და დაუსრულებელი კამათი საშინლად ჰქანცავდა მას. ხშირათ პირველი ორატორის სიტყვებზევე უნახავთ ჩამოძინებული, ხოლო კრების ბოლომდე თითქმის არასოდეს არ გაუძლია.

რეპარტიორი ვანუა, რა თქმა უნდა, საცდელს აღარ აკლებდა და ყოველი კრების შემდეგ რაიმე უცნაურსა და უჩვეულო ამბავს მიაყოლებდა:

„როგორც გავიგეთ, გუშინდელ კრებაზე „ქართველ ისტორიკოსთა“ საზოგადოებამ დაადგინა: გაგზავნოს ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი დავით ბუქაძე ბორჩალოს მაზრაში იქ არსებული, დიდებული მარტვილის მონასტრის ნანგრევთა შესასწავლათ“.

„ქართველ მეურნეთა“ კრებას,—ეწერა მეორე ალაგას,—განზრახვა აქვს მიანდოს ცნობილ აგრონომს დავით ბუქაძეს სოფელ ახატანში განზრახულ საშუალო სამეურნეო სკოლის პროგრამის შედგენა. ამბობენ, ბ-ნი დავითი თანახმაა ეგ საშვილიშვილო საქმე იკისროსო და თუ მართლა იკისრა იმედი გვექნება კეთილადაც დააგვირგვინებს“.

ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია, დათაც ძლიერ გაუთამამდა საზოგადო მოღვაწეობას; გამგეობათა კრებებს ხშირათ არ ესწრებოდა, სამაგიეროდ როცა მივიდოდა ნაშუალამევის ორ-სამ საათამდე რჩებოდა და მასლაათობდა. როცა გამოერეოდა გაზ. „საჩეჩელის“ ნომერი, რომელშიაც მის შესახებ ცნობა არ იყო, დათას საოცრად უკვირდა. მოლა ნასრედინასა და ფლავისა არ იყოს, თითონ დათაც დარწმუნდა თავისს „მოღვაწეობაში“ და ნაშუალამევს სახლში დაბრუნებული ცოლისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა ხოლმე.

„საჩეჩელის“ მიბაძულობით სხვა გაზეთებმაც დაიწყეს „დავით ბუქაძეზე“ წერა.

ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ რეპორტიორებმა ერთად დაიწყეს შეკრება და ცნობების განაწილება. ვანუა რეპორტიორი რასაკვირველია ყველაზე უფრო გამოცდილი და დახელოვნებული იყო თავის საქმეში. რასაც კი იმის რვეულში ამოიკითხავდენ ყველაფერს დიდის სიამოვნებით ავრცელებდენ დანარჩენი მისი ამხანაგები. აი მაგალითად სამეურნეო გაზეთი „ტყლაპი“ სწერდა:

„სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ცნობილ ტეხნიკოს დავით ბუქაძეს გამოუგონია ახალი კონსტრუქციის წისქვილი, რომელიც გარეშე ძალის გარეშე ბრუნავს და საათში ორმოციოდ ფუთ ხორბალსა ფქვამს. კონსტრუქცია იმდენათ სადაა, და აგებაც იმზომ იაფი (თითო წისქვილი 47 მან.) რომ თითქმის ყველაჯახს შეუძლია იქონიოს“.

ეშმაკი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ეშმაკ. მათრახ.“ № 43.

ბურული სცენა

რავარც იყო გადამაღლიტინდა თავზე მაი გა-
ოხინკილებული წელიწადი! მევიდა მარა რა მევი-
ა, დაზავდა თლათ სიმინდი, ღომი, ლობიეი,
ერცვი, ღვინო, ნიგოზი, ხაპი, ხაპერაი! აღარ-
ალდა წისქვილი, აცუცხუნდა კერიეი, გაელდა კე-
ი, გამოწიწინდა თორთქოლო ჭადი, გობით ქო-
ალობიეი, დოქით მაჭარი; აკუნტრუშდა ბაღნები,
აწყნარდა ჭუჭულების ბზიაქი, ძაღლმა დეიწყო
ბდგარი ყეფა, მოტკბა გაკაპასებული მარინა, და
ლათ გადამავიწყდა ძველი შიმშილობა და მისი
ამწარე.

შხანკოლა

ჩემი დღიური

თუ არა ვცდები, (შეუცდომელი კი მხოლოდ ომის მიმოხილველები არიან) ვგონებ მესამეთ ვიწყებ „ჩემი დღიურის“ წარმოებას. მოდი მესამეთაც ვცდი! გარდა იმისა, რომ ღმერთი სამპიროვანია, საბერძნეთის დროებითი მთავრობაც „ტრიუმვირატზეა“ დაყრდნობელი და შორს წასვლა თუ არ გეჯალისებათ ჩვენი ცხოვრების უდიდეს საკითხებსაც „სამთა კავშირი“ ე. ი. სამი უწარჩინებულესი მინისტრის საბჭო განაგებს.

მაშ მოდი ვცდი მესამეთაც! პირველი ორი ცდა აღარც კი მახსოვს რისთვის დამარცხდა, მაგრამ დამარცხება ხომ „ეტაპია ბრძოლის დროს“? თუ ღმერთმა ჰქნა და ეს ომი სამ-ოთხ წელიწადს კიდევ არ გათავდა, ამის მაგალითებს მე ბევრს დაგისახელებთ.

ვიწყებ.

—

21 ოქტომბერი.

ვინმე იფიქრებს: 21 ოქტომბრიდან მისთვის დაიწყო დღიური ბ-ნმა ეშმაკმა, რომ გუშინ, 20 ოქტომბერს ჯამაგირს მიიღებდა და მხიარულ გუნებაზე იქნებაო.

სრული სიცრუეა! მართალია მე აღთქმული მაქვს ადგილი (ალბათ თბილი) ქალაქის გამგეობაში, მაგრამ, როგორც კი შემპირდენ, იმავე დღეს გაზეთებში ამოვიკითხე: „გასული თვის ოცს ქალაქის მოსამსახურეებს ჯამაგირი არ აუღიათ, ვინაიდან ქალაქის კასაში ფული არ აღმოჩნდაო“ მიკვირს ღმერთმანი! ადგენ და დაბეჭდონ ეს ქალალდის ფულები, ესეც გაზეთი „საქართველო“ ხომ არ არის რომ არ გასაღდეს?

ყოველ შემთხვევაში თქვენთვის ცხადია, რომ 20 ამ თვეს ჯამაგირი არ ამიღია და მაშასადამე ხუმრობის გუნებაზედაც არ ვიქნები. არა თუ მე, როგორც გაზეთი „საქართველოს“ სამხედრო მიმოხილველი ბ-ნი X იუწყება (და ის ხომ საალალბედოთ არაფერს იტყვის) თურმე „აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზზე, ქ. ბრეჟანის სამხრეთით მოპირდაპირე **აღარ ხუმრობს**“. არც თუ გასაკვირია გერმანელთა ასეთი სულიერი განწყობილება. ეს ორი

წელიწადი სულ ხუმრობაში გაატარეს აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ასპარეზზე, თავიც მოგვაბეზრეს ამდენი ხუმრობით

22 ოქტომბერი.

დღევანდელი დღე ფრიად ბედნიერი დღეა ჩემს ცხოვრებაში, **დღეს ტრამვაის ვაგონში ადგილი ვიშოვნე.**

23 ოქტომბერი,

„ზოგი ჭირი მარგებელიაო“ ამბობს ქართული თქმულება. ჩვენს ხალხს კომპოზიტორები ესაჭიროება, მაგრამ კოპოზიტორი კიტრი, ან „პოეტი“ როდია. ამიტომ უდიდესი სიხარულით აღივსო ჩემი გული როცა „**თეატრი და ცხოვრებიხ**“ 43 ნომერში წავიკითხე:

„რომანსებს სწერენ თანამედროვე ცხოვრებიდან მ. ბოჭორიშვილი და გ. მუმლაძე“-ო.

ბ-ნი გ. მუმლაძე აგერ ახლა უბრალო კორესპოდენტი იყო გაზ. „სამშობლოსი“, რომელსაც ქ. ოზურგეთში ჯოხით შეეხენ და ამ უსიამოვნების შემდეგ უცებ **რომანსების** წერა დაუწყია. ამბობენ კ. ბალმონტი მეორე სართულიდან გადმოვარდა, თავი გაიტეხა და ამიტომ გახდა ასეთი სახელოვანი მგოსანიო. ვინ იცის! ღმერთმა ჰქნას მართალი იყოს.

ამავე ნომერში ჟურნალი „**თეატრი და ცხოვრება**“ სწერს:

„ჟურნალისტი ი. გოგოლაშვილი არჩეულ და ერთხმათ დამტკიცებულ იქმნა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის რწმუნებულათ ლაზისტანშიო“.

ვზივარ და ვფიქრობ: „რაღა მკითხველი მე ვარ, როცა ასეთი თვალსაჩინო **ჟურნალისტის** ერთი ნაწარმოებიო არ წამიკითხავს მეთქი.

პასტარა ფელეტონი

საცოლეს ვეძებ

ცოლის შერთვა განვიზრახე,
გავბრიყვდი და გავტუტუცდი
და ვიფიქრე,—დროი ქეა,
რაღა ტარტაროზებს ვუცდი?!.
მოვიყვანო ერთი გოგო,
ხასიათით წყნარი, დინჯი,
(არ დავეძებ ძლიერ ლამაზს,
თუ არ დარჩა სულ მახინჯი).
ოჯახს კარგათ უპატრონოს,
და ქონებას მოუაროს,
საკუთარი ქმარის ნაცვლათ
სხვა არავინ შეიყვაროს.
მოდურათ არ მოიკაზმოს,
და არ აჰყვეს უსაქმურებს,
ჭორებით და კაპასობით,
არ გამომიქედდეს ყურებს.

—

გავიარ-გამოვიარე,
გავაყოლე თვალი ქალებს,
რომელიც რომ უსაქმურათ
დაფარფატებს, დაცანცალებს.
მომეწონა ერთი გოგო,
(ამივარდა გულის ძგერა)
და გავიცნეთ ერთმანეთი...
(სახელათ მას ერქვა ვერა).
გავუცინე; გამიცინა.
გამიყერა მკლავში მკლავი,
თვალი ისე გადანაბა,
როგორც ცხვარი დასაკლავი.
აგი ვკითხე, იგი ვკითხე,
ჩამოვუგდე საუბარი,
და უთხარი: —რა იქნება
მე რომ გავხდე შენი ქმარი?!.
—კარგიაო... გაუხარდა,
მაგრამ მოგთხოვ პირობასო,
არ დავეძებ ცუდ დროებას,
ყველაფერის ძვირობასო.
უნდა კარგათ მოვიკაზმო—
უკანასკნელ მოდურათო
თმა შამფურით დავიგრიხო,
ჩემებრ, ლოთი-ფოთურათო.
სადაც მინდა იქ წავიდე,
ყველგან უკანტროლოთაო
და თუ ამის ნებას დამრთავ
გამოგყობი ცოლათაო“.
შევაქციე ხელათ ზურგი,
ჩამოვშორდი, გამოვბრუნდი,
მისი „მრწამსის“ გამოცნობას
დიდი ხანი არ მოვუნდი.

კვლავ დავიწყე ხეტიალი,
ისევ ცოლის საძებარათ,
სულ დავზვერე „ბარიშნები“
სადაც ვნახე: მთად თუ ბარათ.

—

მომეწონა ერთი გოგო:
თვალ-ტანადი, ახოვანი,
სახით იყო თოვლის ფერი,
ირემს მიუგავდა ტანი.
თვალი თვალში გავუყარე,
მანც თვალები დამიბრუცა...
გავიცანით ერთმანეთი:
(სახელად მას ერქვა ნუცა).
ჩამოვუგდე საუბარი,
იქითური, აქეთური,
უსაფუძლო მუსაიფით
ერთობ გამიქედა ყური.
ბოლოს ვკითხე:—ჩემო კარგო,
თუ გამყობი ამხანაგათ,
თანხმობით და გარჯა-შრომით
ჩვენ ვიცხოვრებთ ძლიერ კარგათ.
არაფერი დაგვაკლდება,
ყველაფერს ვიშოვით ბლომათ,
სამოსი და საზრდო პურიც
ჩვენ გვექნება გასაძღომათ.
გაუკვირდა ჩემი სიტყვა,
გაიცინა, გაიღლარჯა,
და სთქვა:—„რაღათ მინდა ქმარი
თუ დამჭირდა შრომა-გარჯა?
ოჯახობა მე არ ვიცი...
ხელ-საქმობას ვიზამ ძნელათ,

. . . . . .

. . . . . .

და თუ ასე უსაქმურათ
დამსვამ ბუმბულ-სავარძელში,
მაშინ გამოგყვები ცოლათ
და მომეცი ხელი ხელში“.
შევაქციე ხელათ ზურგი
და იმ წამსვე გავეცალე,
მე იმისი მოქმედება
გამოვიცან ძლიერ მალე.
და დავიწყე ისევ სხვაგან
სიარული, ხეტიალი,
სადაც ვნახე ლამაზები
ყველას გავაყოლე თვალი.

—

კიდევ გავიცანი გოგო,
(ოი, მას გაუწყრეს ღმერთი),
თავსა ბატკნათ მაჩვენებდა
თურმე იყო კურმუხეთი!
მისი სიტყვა, მისი საქმე
მე სულაც არ მომეწონა
და დავტიე გულ ნატკენი
(სახელათ მას ერქვა სონა).

—

დაბოლოს ის გავიცანი—
(ვისაც ერქვა მარუსია),
განუცხადე ჩემი დარდი
და გავანდვე ნამუსია.
გაიცინა, გაიღრიჯა,
შევატყვე რომ გაუხარდა,
ჩამეხუტა და ხელები
შემომხვია არდიგარდა.
ასე მითხრა:—ჩემისთანას
ბევრი სძებნო ვერ იშოვნი,
მოგიყვები ჩემს ღირსებას
რაც კი რამ მაქვს მოსაწონი:
ოჯახობა კარგი ვიცი,
და ხელ-საქმე საუცხოვო,
ნუ გგონია მეც სხვებსავით
მოდები რომ მოვითხოვო.
ქმრის გარეშე მე ხორც შესხმულს
არავის არ გავუცინებ,
მე ვერ ვიზამ უზნეობას,
ასეთებს მე სხვებსა ვცინებ.
საკოცნელათ მე ჩემს ლოყას
არ გაუწვდი ლამაზ ბიჭებს,
არშიყობა და ხუნტრუცი
მე სიამეს არ მანიჭებს.
ბევრი სხვებიც იტატანა—
თავის ქება, სხვისი ძრახვა,
თვისი ცუდი მოქმედება
სხვისი სახით დამანახვა.
რა შევატყვე ცბიერობდა,
მისი სიტყვა იყო ბრუდი,
შევაქციე მასაც ზურგი
და უკანვე გამოვბრუნდი.

—

ახლა რა ვქნა აღარ ვიცი...
სად წავიდე, ვინ მოვნახო,
მე საცოლეს ვერ ვიპოვი
ქვეყანაც რომ გადავლახო.
და ულირსის ულლათ ყოლას
ისევ ის ჯობს—ვიყო ცალათ,
(მე ვიშრომო და მახინჯი
შინ დავისვა დედოფალათ?!).

გურიანთელი.

სანაძლეო

(ოზურგეთისათვის ფეშქაშათ)

ისეთი პატარა ქალაქისათვის, როგორიც ოზურგეთია, სულ პატარა რამ საკმარისია დიდათ გაბერონ, გაანზვიადონ, „რწყილს მუცელი აატკიონ და აქლემი აშობინონ“.

ამ დღეებშიაც ასე მოხდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რწყილმა აქლემის მაგიერ კაი გძელ ყურა ვირი, ის „პურა-ძვირი“ შობა, „ჭინჭალაის (ჭინჭრაქას) ჭოჭის მონასვამზე შვავი გამოსდკდა“ და შვავს ჩოჩორი გამოყვა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი დიომიდე ვასაძისათვის—„საჯაყი“ და სამსონ ჯაყელისათვის სასარგებლო საქმე. არ ვიცი რა რიცხვი იყო, მაგრამ დაბეჯითებით ვიცი, რომ ენკენისთვის კვირა დღე იყო (ამ წელში), ისიც ვიცი გაზეთ „სამშობლოს“ კორესპოდენტის ბ-ნ გიორგი მუმლაძისათვის ეს დღე კვიმატი დღე დარჩა, არც ის ვიცი ეს დღე წარმო იყო, თუ უკუნი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ დღეს საპარასკეოზე მომხდარმა ინციდენტმა წარმოება შეაჩერა, მყიდველ-გამყიდველები არივ-დარია, რასაც მოყვა ქოთან-დოქ-ჭარიკა-ჭურების შეხეთქებ-შემოხეთქება, ერთი სიტყვით მოხდა „სვრანი და ძვრანი“ „და იყო ჟამი იგი შუადღისა“ სწორეთ იმ დროს, როცა მზე საშუადღეოს გაუპირდაპირდა, მაშინ ოზურგეთის საურთიერთო ნდობის ბანკის დირექტორმა ალმასხანმა თავისი გარგანი (რომელი ითარგმანების ქართულად ტროსტათ) დაუპირდაპირა თავსა ბანკის ყოფილი ბუჰალტრის გიორგისასა. ალმასხანის საქციელი არამც თუ სხვებს არ მოსწონებია, არამედ ის არ მოეწონა გიორგის მეუღლესაც კი (თუმც როგორც ვიცით სჯულიერი მეუღლეები ყოველთვის მომხრენი არიან ქმრების დასჯისა), რომელიც ქოლგით (ქართულად ზონტიკით) გამოუდგა ალმასხანას, ალმასხანმა გმირ ქალს გმირულად ზურგი უჩვენა და მოკურცხლა.

დასაგმობი საქციელი ბლიკვიზმი და ტუკიზმი ყველამ დაგმო, მაგრამ ზოგს ესიამოვნა და ულვაშებში ჩაიცინა: თუ ვიშოვნე დრო ალმასხანს ბანკიდან გადაყუდედების, ახლა ვიშოვნეთ თქვეს და ის კი აღარ გაიკითხეს: ალმასხანი, როგორც ბანკის დირექტორი ღირსია თუ არა გადაყუდების. პატარა პროვინციაში ამას არავინ კითხულობს, უმეტესად აქ პირადობაზეა აგებული საქმე დღეს. შენ ხარ, ხვალ მე უნდა ვიყო, მაწყეინებ-გაწყეინებ, დირექტორიც, თუ ბანკის ინტერესებს იცავს, მტრებს სულ ადრე იშოვნის. ზოგს ვექსილს არ დაუხურდავებს, ზოგს ვადაზე ფულის შემოუტანლობას მოსთხოვს, ზოგს იმდენ სესხს არ მისცემს რამდენსაც თხოულობს, ზოგის ნათესავს ბანკში არ მიიღებს და სხვა. ასეთი უკმაყოფილო პირები ყველგან ბევრი გამოჩნდება და ოზურგეთშიაც არიან. ამათ სამწუხარო ინციდენტს კრიტიკული თვალი კი არ შეხედეს, არამედ, როგორც უმაღლესად „კულტურულმა“ ადამიანებმა „უკულტურო“ ალმასხანის ბანკიდან გაძევება და მის ნაცვლად ვინმე თავისიანის წამოსკუპება განიძრახეს. გამართეს ხელის მოწერა. ბანკის ზოგიერთ წევრს სრული შეგნებით მოაწერინეს ხელი, ზოგს სხვა და სხვა მიზეზი უთხრეს, და მით შეაცდინეს... მოითხოვეს ბანკის წევრთა კრების მოწვევაც „დაღუპული“ ბანკის საქმეების გიმოსაკეთებლად. სიქმე გაიჩარხა. საბჭოს განცხადება მიართვეს, მაგრამ ზოგმა, როცა გაიგო ნამდვილი მიზეზი, მოითხოვა მისი ხელის მოწერა არ მიეცათ. არ იყო საქმე და გაჩნდა. ბანკის წევრები ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ გაიყვნენ; უმცირესობა ანტი ალმასხანისტები თავიანთ ბანაკის ჯარის კაცებს ხელის თითებზე ითვლიან (ეს იყო 30 ენკენისთვეს), თუ ვინ მოაწერა ხელი განცხადებას. მათ შორის იმართება შემდეგი დიალოგი:

ბ. დიომიდე ვასაძე, ყოფილი დირექტორი

მე ნამდვილ ვიცი, რომ თეოფილე გობრონიძეს განცხადებაზე ხელი აქვს მოწერილი.

ბ. გრ. ჩიჩუა ნოტარიუსი და საბჭოს თავმჯდომარე: თეოფილეს თქვენ პარტიაში ნუ თელით, მე დანამდვილებით ვიცი განცხადებაზე მას ხელი არ უწერია.

ბ-ნი დ. ვასაძე: ნამდვილ ვიცი, მე მოწმეც მყავს.

ბ-ნი ჩიჩუა: მე თვით ვნახე და უკეთ ვიცი.

„ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა“ ერთმა მეორის არ ირწმუნა, თავის სიმართლეში ორივე დარწმუნებულნი იყვნენ, უფრო კი „გული საგულესო დიომიდეს ჰქონდა, იმიტომ პირველმა მან მისცა წინადადება ბ-ნ გრიგოლს „დავნიზლავდეთო“. ვინც წაგებული გამოვიდოდა იმას „კლუბში“ უნდა გაემართა ვახშამი. ვახშმის დროც იყო. გაეშურნენ საკრებულოსაკენ. გზა-გზა სტუმრებს ერთიც ეპატიჟება მეორეც. გაიშალა ფართო სუფრა, ერთიც დარდიმანდობს და მეორეც: მოიტა ეს, მოიტა ის, არ შემარცხვინო, ფულზე არ შეგვიცოდვო. ხშირად გაისმის. დიომიდეს ეცინება, დარწმუნებულია გრიგოლ მოატყუა, გრიგოლსაც ეცინება მუქთი ქელეხი და ისიც დიომიდეს ხარჯით უხარია. სასტუმროს პატრონს სამსონს და სტუმრებს სულ არეფერი აქვთ სადარდო. ფარეშები გამალებით მიდი მოდიან, სიმღერა და მხიარულება გათენებამდე გასტანს. ანგარიში მოითხოვეს: რვა თუმნამდეა.

— ხვალ ან გრიგოლი, ან მე მოგართმევ, უფრო კი გრიგოლ. მხიარულად ამბობს დიომიდე.

— უფრო კი დიომიდე გაგისწორდება. ბრძანებს გრიგოლი.

— ღმერთმა ადღეგრძელოს ალმასხანის ჯოხი. ხუმრობენ შეზარხოშებული სტუმრები.

დ ა ს კ ვ ნ ა

მეორე დღეს დიომიდე მწარეთ სტიროდა და მოსთქვამდა:

— ამდენი ხარჯი ქორწილზე არ მომსვლია.ო. ეხლა ის იმას ანგარიშობს, თუ რომელ ფართალს რამდენი წაუმატოს და დანახარჯი რითი გაინაღდოს.

ავყია.

დიმიტრის სიმღერა

ტრაპიზონისკენ მივდივარ
დიმიტრა, სახელ ქებული,
თხლე იმისა და თხა ამის
„სტარშინათ“ მირონ ცხებული,
ეშმაკის მათრახისაგან
ბევრ ჯერ ზრუგ აცხუნებული
ახლა კი ლადიკოსაგან
მინდორში გახტუნებული.
ლანჩხუთი რჯულზე მოვჭამე,
მივალ და მიმიხარია
მრავალი საქმე დავმარხე
ვერ მოსთხრის ასი ბარია
ამ ბოლოს გამომიქექეს
ვშიშობ მადინონ ძმარია,
ძველ ბოქაული რომ არ მყავს
სულაც იმის ბრალია.
ღმერთმა ნუ სწიოს ლანჩხუთლებს
ჩემი ცოდო და ბრალია,
ქვეყანა მცნობდა, ახლა კი
მათ დაიბრმავეს თვალია.
აქ ხრიკი აღარ გამივა
ცეცხლზე დამესხა წყალია,
ტრაპიზონს ვინმე თუ ვიგდე
ვაი იმისი ბრალია.
მივდივარ მიმიხარია
დიმიტრა სახელ ქებულსა
ლანჩხუთელების ზურგზედან
სამი წლის გასუქებულსა.

სიფთა.

ქველმოქმედება

ღმერთმა რომ ქართველი კაცი გააჩინა (თუ კი მან მართლაც მიილო მონაწილეობა ამ საქმეში) ზედ გულის ფიცარზე დააწერა:

— შენ ქველმოქმედებისათვის და ქველმოქმედება შენთვისო.

ეს ღრმა თქმულება მე ასე დავახურდავე:

— ქართველო კაცო! ქველმოქმედება შენი მოღვაწეობის საგანი უნდა იყოს, ვინაიდან შენ თითონ საქველმოქმედოთ ხარ გაჩენილიო.

იქნება ჩემი განმარტებიდანაც ბევრი ვერაფერი გაიგეთ, მაგრამ, თუ ბევრის გაგება გინდოდათ დაესწრებოდით ქართულ **საქველმოქმედო საზოგადოების საზოგადო** კრებას! აკი ვთქვი, თქვენ ყველაფერი მზა-მზარეული, ანუ უკეთ ვსთქვათ საქველმოქმედო გინდათ. იცით, რომ „ეშმაკის მათრახი“ ყველაფერს მზა-მზარეულათ მოგართმევს და თავს რისთვის შეიწუხებთ!



კრება პატივცემულმა თავჯდომარემ საზოგაიოიბისამ მ. მაჩაბელმა გახსნა. კრების თავმჯდომარეთაც ის იქმნა არჩეული ერთხმად*). ამ შემთხვევაში ტრადიცია იქმნა დაცული.

სამაგიეროთ კრებამ სხვა მხრივ ვერ დაიცო ქართული კრებების ტრადიცია. მე მოგახსენებთ კრების ერთ დღეს დამთავრების შესახებ. ასეთი საქმე ქართულ საზოგადოებებს არა სჩვევიათ. ამის კლასიკურ მაგალითს წერა-კითხვის საზოგადოების კრებები იძლევა და საკირო იყო, თუ ტრადიცია კი რამეს ნიშნავს, საქველმოქმედო საზოგადოებასაც არ ეღალატნა ამ ტრადიციისათვის.

ასეა, თუ ისე, ბჭობა დაიწყო და პირველი მოხსენება ეპოა ბათუმის განყოფილების წარმომადგენელს,

გამოუთქმელის წუხარეზით აღვნიშნავ, რომ მშვენიერი სურათი ბ-ნ კობახიძისა შემთხვევით, ცინკოგრაფიაში გაუგზავნელი დაგვრჩა და ვეღარ იბეჭდება. ეშმაკი.

ბ-ნ კობახიძეს, რომელმაც ჩინებულოთ დაასურათა ბათუმის განყოფილების მოღვაწეობა საქველმოქმედო ასპარეზზე და გამოიწვია დამსწრე საზოგადოების ტაში.

*) ერთ-ხმად იმიტომ, რომ მათი კანდიდატურა ერთმა კაცმა ბ-მა ბ. გოთუამ დააყენა. დანარჩენ დამსწრეთ არც კი უთქვამთ, არც არა.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი განვითარება ჯერ იმ ზომამდე არ არის მიღწეული, როგორც ერთი იტალიელისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს თურმე: ლექსსა სწერდა, არითმეტიკულ ამოცანას ხსნიდა, ომის ქარტას ჰხატავდა და ორ მოსაუბრეს უსმენდა და ებაასებოდა. მე როცა ვხატავ, მაშინ ლაპარაკისა აღარაფერი მესმის და სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ბ-ნ კობახიძის მოხსენებიდან, ბათუმის განყოფილების მოღვაწეობის შესახებ, თითქმის არაფერი დამნახსოვრებია.

მშვენიერი მოხსენება გააკეთა აგრეთვე ახალციხის განყოფილების წარმომადგენელმა ქალბატონმა **ნად. გარდავაძემ.** განსაკუთრებული მოღვაწეობა ამ განყოფილებისა, თუ მეხსიერება არა ღალატობს, თავშესაფარში უდევს. განყოფილება ჯერ ძლიერ ნორჩია და მეტიც არ მოეთხოვება.

სამაგიეროთ ფოთის განყოფილება არც თუ ეგზომ ახალგაზრდაა და თუ მის წარმომადგენელს,

ბ-ნ ჯაფარიძეს დავუჯერებთ, განყოფილებ

უმოქმედობას უსახსრობა ძლიერ უწყობს ხელს. როგორც ხედავთ „ხელს უწყობს“ მაინც და არ კი უშლის. ბ-ნმა წარმომადგენელმა კრებას მოახსენა შავი ზღვის პირად წვიმებისა და რიონის ცუდი ზნის შესახებ. ეს მდინარე ნიაღვრების დროს კალაპოტიდან გადმოდის თურმე.—საჭიროა მთავარმა გამგეობამ მეტი ფულიერი დახმარება აღმოუჩინოს ფოთის განყოფილებას.

სამტრედიის წარმომადგენელი მამა **სილ. ხუნდა ძეც** მდიდარი აღმოჩნდა მისდამო რწმუნებულ რაიონის გაჭივრებათა აღნუსხვის დროს. ხათაბალა მხოლოდ ის არის, რომ ფული არც იმათა ჰქონიათ და იმედს მთავარ გამგეობაზე ამყარებენ.

ამავე აზრის გახლდათ ზესთაფონის წარმომადგენელი.



მამა კოტე ანთაძე. ზესტაფონის რაიონში, მამა კოტეს სიტყვით ერთი წვეთი წვიმაც არ ჩამოვარდნილა. ამის გამო ჭირნახული სულ გადამხმარა და ხალხი უზომო გასაჭირში ჩავარდნილა. მაინც ახირებული საქმე კია: მისცა წვიმა განგებამ ფოთის რაიონს, ყვირიან: დაგვაქცია ამ წვიმებმაო; არ მისცა შორაპნის რაიონს, მაინც ყვირიან: დაგვაქცია ამ უწვიმობამო. ჭეშმარიტათ რომ მძიმეა გუბერნატორის მოვალეობა!

დინჯათ, ქართლური დარბაისლობით და ვრცლათ ილაპარაკა გორის განყოფილების უმოქმედობაზე

ბ-ნმა **სიმ. მაჭავარიანმა** ვგონებ არც ამ განყოფილებასა ჰქონდა საქველ-მოქმედო თანხა და უმთავრესი მათი მოღვაწეობა სიტყვიერი ყოფილა.

თელავის განყოფილების წარმომადგენელმა

ბ-ნმა **ივ პაატაშვილმაც** ვრცლათ აღნუსხა თელა-

ველთა ნამოღვაწევი ქველმოქმედების ასპარეზზე. სხვათა შორის მათ შეუდგენიათ სიები გაჭირვებულ კახელთა.

ქობულეთის საავათმყოფოს ექიმმა ბ-ნმა **ბენაშვილმა** მოახსენა კრებას მისდამორწმუნებულ საავათმყოფოს საქმეები. პატივცემული იქიმი ხშირად ლაპარაკობდა რაღაც „აღმოჩენის“ შესახებ, მაგრამ მთელი ჩემი ყურადღება მხატვრობაზე იყო მოპყრობილი და ვერ გავიგე თუ რა აღმოაჩინეს. შეიძლება საშუალება ქერტლის წინააღმდეგ.

საზოგადოება გამოაცოცხლა და აახმაურ-დაახმა-

ურა საზოგადოების მდივნის ბ-ნი **პავლე საყვარელიძის** მოხსენებამ. ის სწორეთ იმ დღეს დაბრუნდა სამხრეთ საქართველოში მოგზაურობიდან და თან ჩამოიტანა მრავალი ცნობები.

ჩემ მიერ გამოხატული სურათი, ვგონებ, საკმაოდ გადმოგვცემს მის აღშფოთებას ნახულ გაგონილით; ასე რომ ,,ამაზე ლაპარაკიც კი მეტია“.

ხანგრძლივ და პოეტურათ ილაპარაკა აჭარის სკოლათა შესახებ ბ-ნმა იერემია გულისაშვილმა. ჩემდა სამწუხაროთ უნდა გამოვტყდე, რომ სურათი პატივცემული პედაგოგისა ვერ გამოვიდა მისი შესაფერი და ჩემს ნიჭზე გული გამიტეხა.

მოულოდნელ გარემოებათა გამო იძულებული ვიყავ კრება დამეტოვებია და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაბრუნებისას გავიგე:

— საზოგადო კრება უკვე დასრულდაო.

ეშმაკი.

მეჩექმეესთან*)

ვოდ. I მოქ.

მოქმედნი პირნი:

სტეფანე, მეჩექმე—35 წ.
გრიშა, ამისი ნოქარი—15—16 წ.
არშაკ არშაკიჩ, სტეფანეს მეგობარი—45 წ.
ელენე წიწმატაძისა, —25 წ.
ბარბარე მამალაძისა, მოსამსახურე გოგო—30 წ.
დათა, მეეტლე, ბარბარეს ძმა—27 წ.
აპოლონ, გუბერნატორის კანცელარიის მოხელე—50 წ.

ავქსენტი, ამისი მოსამსახურე—24 წ.

სცენა წარმოადგენს სტეფანეს სახელოსნოს. უბრალო დუქანი, სადაც სდგას რამდენიმე ხის დაბალი სკამი ტეკვით გადაწნული. იატაკზე სდგას ,,დახანკა'' წყლით სავსე ტეკვების გასველებათ. სტეფანე დაზგას უზის და ,,შეიდკას'' არტყამს, გრიშა ფეხსაცმელებსა სწმენდავს.

---

*) ეს პიესა ნებადართულია ცენზორის მიერ სცენაზე დასადგმელად კანცელარიის „ოტზივი“ № 2906-916

I

სტეფანე და გრიშა

სტეფანე. (მღერის) „პირზედ გაქვს ხალი, შავ-შავი თვალი, კოცნა მსურს შენი"... (გრიშას) ჰა, მორჩი რას უცაცუნებ!

გრიშა. (ბუტბუტით) უსომ და მეტი რა ვქნა! (ჩექმებს დააფურთხებს და ჩქარა უსვამს ჩოთქს) რომ აღარ იწმინდება ეს ვერანა მე რავქნა.

სტეფანე. უსომ რომელია, აღარ უნდა გაათავო!

გრიშა. (მკლავს ისვამს ცხვირზე და იწმენდს) არ იწმინდება ეს საოხრე და მე რა უყო! (ისმის კარების რახუნი).

სტეფანე. (შეუბღვერს) ნუ გააბი ლათაიები, ნახე ვინ არახუნებს კარებს.

გრიშა. დგება (ჩექმებს დააწყობს და ზლაზვნით მიდის) არ იწმინდება და ჩემი რა ბრალია! (გადის).

სტეფანე. (დაზგის ქვეშიდან ამოიღებს ბოთლით ღვინოს და მოიყუდებს) უჰ, შენ დამწურს ვენაცვალე იმ ფეხებში! უკვდავებაა, უკვდავება უფლის მადლმა! (მღერის) „პირზედ გაქვს ხალი"... (შემოდის გრიშა).

გრიშა. ვიღაცა ქალია და ხაზეინი მინდაო.

სტეფანე. ვინ ქალია, ბიჭო, რომელი?

გრიშა. რა ვიცი, მოჭერილი კაბა კი აცვია და!

სტეფანე (დგება და მიდის) ვერ იცანი, ვინ არის?

გრიშა. (ცხვირის წმენდით) რა ვიცი, ბორკილივით კი აქვს გაყრილი ფეხებში ის კაბა და!

სტეფანე. (კარებში) მობძანდით, მობძანდით!

II

სტეფანე, გრიშა და ელენე.

ელენე. (სტეფანეს) ეს „ბატინკები" უნდა გამიკეთოთ.

სტეფანე. გაგიკეთებთ, სზოლშიმ სუდოვოლსტვიემ.

ელენე. ძალიან მეჩქარება.

სტეფანე. ბატონი ბძანდებით, ეხლავე გინდათ გაგიკეთოთ?

ელენე. დიახ, ძალიან მეჩქარება.

ხტეფანე. გაიხადეთ რაღა, ხელათ იქნება.

ელენე. არა, ფეხზე სხვისი შესაცმელები მაცვია. (აძლევს ქაღალდში გახვეულ ბატინკებს) აი, ესენი არის ჩემი და თუ ძმა ხარ ამ ორ საათში მომიმზადე.

სტეფანე. (ბატინკებს სინჯავს) ამას პატარა ნაჭერი უნდა.

ელენე. ერთი სიტყვით რაც საჭიროა გააკეთეთ.

სტეფანე. გაგიკეთებთ ვა, მაგაზე რა ხვეწნა მინდა!

ელენე. შუადღის მატარებლით მივდივარ და თუ დავბრკოლდი თავი უნდა მოვიკლა, ისე მაქვს საქმე.

სტეფანე. რათა, რათა ვა! აფსუსი არ არის თქვენი სიკვდილი! (იცინის).

ელენე. (მიდის) მაშ თქვენ იმედზედ ვიქნები.

სტეფანე. პოეზდისთვის იქნება რაღა, უეჭველად.

ელენე. (კარებში მიმავალი) დღეს შუადღის მატარებლისათვის, გახსოვდეთ, (გადის).

სტეფანე. (აცილებს) ბუდიტ, ბუდიტ, აბეზატელნა ბუდიტ (გადის).

გრიშა. (იღრიჯება) ბევრი პოეზდი გაივლის რომ შენი პოლსაპოჭკები აქვე ეყრება გაუკეთებელი! (სტეფანე შემოდის).

სტეფანე. აჰ, რა ქენი, გაწმინდე?

გრიშა. (ცხვირის წმენდით) ამაზე მეტი არა პრიალდება და მე რა უყო!

სტეფანე. (გადაუგდებს ელენეს ბატინკებს) აჰა, ესენი კარგათ გაფხიკე და გაასუფთავე. (გრიშა ფხეკს. სტეფანე ბოთლით ღვინოს მოიყუდებს) უჰ შენი სულისა, ნამდვილი წიმალია რაღა! ამ დალოცვილს რომ დალევ ძარღვები სულ ლეკურს თამაშობენ ქრისტეს მადლმა! აფსუსი არ არის ამისთანა რამე კაცმა არ დალიოს! ჩვენი დოხტურები ტუტუცები არიან უფლის მადლმა! არა, იმ მწარე ხინით რომ ჰბერავენ კაცსა, ის არა სჯობია, რომ ეს ქრისტეს ნაკურთხი გამოუწერონ, რომ სულსაც ეამოს და გულსაც! (კიდევ მოიყუდებს) უჰ, შენი დამწურის პირიმე, შენი! თაფლია, თაფლი უფლის მადლმა! (მღერის).

III

იგინივე და არშაკა.

არშაკა. (შემოდის. უშველებელი ღიპი აქვს. ძალიან მსუქანი კაცია ძლივს ქშინავს სიმსუქნისაგან.) ოჰ, ბაროვ, სტეფან, ბაროვ!

სტეფანე. ოოო, არშაკ არშაკიჩ, სიდედრსა ჰყვარებიხარ აი, კარგ დროს მოხვედი, კაკ პაჟივაიშ!

არშაკა. რაღა პაჟივაიშ, შე სალავათ ძაღლო, ძალიან ბევრი დავლიეთ გუშინ.

სტეფანე. ხაშის იშტაზე არა ხარ? (გრიშას) ერთი დიდი ჯამი გაასუფთავე და ხაში მოიტანე.

არშაკა. ხაში კი არა, კაცო, თავი დაბრუებული მაქვს, განა ამდენი სმა იქნება!

სტეფანე. არა, შე ოხერო, შენ მაინც ახირებული სმა იცი, ისე ეშურები და ყლაპამ იმ ღვინოს, თითქოს პატენტს ვადა გასდისო.

არშაკა. შენმა თავის გახეთქამ შენ კი კაპლებით იწვეთებ რაღა პირში! რა ვიცი რომ გააღებ მაგ ვერანა ხახას, თითქოს წისქვილის ღარიაო, ისე თქრიალით გადადის მოუკუპრავში.

სტეფანე. კარგია, დაჯექ, ნუ გააბი ლაპარაკი, (გრიშას) რა ქენი ბიჭო, ვერ გაასუფთავე ჯამი?

გრიშა. რა ვქნა ეს ვერანა ქონი არ შორდება და!

სტეფანე. წყალი დაასხი და მორეცხე, შე ვირო შენა! (სტეფანე მოტრიალდება და დაზგის უკრიდან ფულს იღებს. გრიშა მიგა დოქთან და რადგან დოქში წყალი არ დახვდება, დახანკაში ჩაუოფს ჯამს გასარეცხათ.)

არშაკა. (გრიშას) რას შვრები, რას, შე ლაწირაკო შენა!

სტეფანე. (მობრუნდება, მიეარდება გრიშას და ეურების უწევს) არა, ეს რა საქნელია, შე ლუპუსტაწო შენა!

გრიშა. (ტირის წმენდით) რა ვქნა, მაშ არ გავრეცხო!

სტეფანე. მერე ლახანკაში რეცხავ, შე მუტრუკო შენა!

გრიშა. მერე რა უჭირს, ესეც წყალი არ არის?

სტეფანე. (ჯამს წაართმევს) იქით დაიკარგე, შე ვირო შენა. წადი ივანიკასთან და უთხარი ჩემს მაგივრათ ერთი აბაზის ხაში გამომიგზანეთქო. (ფულს აძლევს).

გრიშა. მერე, ჯამი არ უნდა!

სტეფანე. გასწი, წადი ჯამს თითონ მოგცემს.

გრიშა. მაგ ჯამს რა უჭირს მერე!

არშაკა. ლახანკაში ამორეცხილი ჯამით მამაშენს წაუღე, შე დათვო, შენა!

გრიშა. ახალი წყალია ბატონო, ლახანკაში...

სტეფანე. (შეუუვირებს) გასწი ჩქარა, რო გეუბნებიან არ გესმის!

გრიშა. ახალი წყალია ხაზეინ, გუშინ ჩავასხი...

სტეფანე. (ძალიან დაუუვირებს) გასწი მეთქი!

გრიშა. წავალ, წავალ.

სტეფანე. ორი შაურის თორნის ჰური იყიდე და ერთი აბაზის ხაში გესმის, ჩლიქები ჩაყრევინე შიგ ლამაზათ და მაიტანე ჩქარა.

გრიშა. ჯამი რომ არ მომცეს?

სტეფანე. (შეუბღვერს) გეუბნები რაღა რომ მოგცემს მეთქი!

არშაკა. ჰა, მორჩი მალე.

სტეფანე. (შეუუვირებს) ბიჭო, აქა ხარ კიდევ!

გრიშა. წავალ, მაგრამ ჯამი რომ არ გამომატანოს!

სტეფანე. (ძალიან დაუუვირებს) წადი მეთქი მალე!

გრიშა. (ტირის წმენდით და ბუტბუტით) მივდივარ, ბატონო, მივდივარ. (გადის).

IV

სტეფანე და არშაკა.

არშაკა. ძალიან უშნო რამ კია ეს შენი პრიკაშჩიკი. როგორ დოყლაპიასავით დაუღია პირი.

სტეფანე. მეც ვიცი რომ უშნოა, მაგრამ ჭის შოვნა რომ აღარ არის! უნდა შავიფერო ოხერ ვიზამ!

არშაკა. მართლა, სტეფანე, ეს ჩექმები მაქვს დასაპაჩინკებელი.

სტეფანე. გაიხადე რაღა, დაყარე და გავაკეთებ.

არშაკა. რო გავიხადო ახლავე გაკეთებ?

სტეფანე. ერთი ღვინო დავლიოთ კაცო, რა დროს ეგ არის! დაყარე და ხვალისთვის გაგიკეთებ რაღა.

არშაკა. ეე, ბაშკა, მე რაღა ჩავიცო დღეს!

სტეფანე. შენ გაიხადე. ჩექმები ჩაგაცო რამ

ანტიკა. (აწვდის ჩექმებს) ცოტა ქუსლები აქვს გასაკეთებელი, მაგრამ არა უშავსრა, იოლათ წადი.

არშაკა. მერე ვისია, ბიჭო, ეს ჩექმები? აქ პატრონმა არ დამინახოს და არ გამროზგოს!

სტეფანე. შენ ჩაიცვი, ნუ გეშინიან.

არშაკა. ბიჭო, რომ ჩავიცვა შარია, ძმაო, შარი. ქუჩაში რომ დიმიჭიროს ამის პატრონმა ხალხი რას იტყვის, ან თითონ მას რა უთხრა!

სტეფანე. ჩაიცვი ძმაო, ნუ გეშინიან. მაგის პატრონი ჯერ მაგას არ მოიკითხავს და თუ მოიკითხა ატვეჩაი მე ვარ, შენ რა გენაღვლება! (არშაკა იხდის თავისას და სტეფანეს მიცემულ ჩექმებს იცვამს. სტეფანე ფეხინოს იღებს და აწვდის არშაკას). აბა, არშაკ, ნახე რა ღვინოა!

არშაკა. (გაკვირვებით) ეს ბოთლი რა ამბავია კაცო, პოეზდზე ხომ არ მიეშურები!

სტეფანე. თუ დალევ რიგიანათ უნდა დალიო, რომ ჯიგარმა გაიგოს. (სვამს) ეს ღმერთმა ადღეგძელოს ჩვენი ძმობა-ერთობა.

არშაკა. ამინ! (ორივენი სვამენ) ვა, ვოტ ღვინო! კაცო, ვის გამაართვი ამისთანა ღვინო?

სტეფანე. შენ ერთი ამის არამატი ნახე და რა არის!

არშაკა. გეუბნები კარგია მეთქი რაღა!

სტეფანე. (ჭსუნავს ბოთლს) ვა, ვა, ვა, ლადიკალონია რაღა უფლის მადლმა! ამას ვინც არ დალევს ან დღე მოკვდება, ან ღამე. (სტეფანე მღერის — არშაკაც აჭყვება) „პირზედ გაქვს ხალი“...

არშაკა. აფსუსი არ არის ეს ღვინო ჩინონიკმა [illegible]ალიოს! ამის დამლევს გემო უნდა, გემო.

სტეფანე. ჩინონიკმა რომ ეს ღვინო დალიოს, ფომ დარეტიანდა.

არშაკა. (იტინის) ვინ იცის ციფრები სულ ყირამალა დაწეროს!

სტეფანე. დალიე, ძმაო, დალიე. ჩვენზე ალალია. ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ქეეყანაზე მარიფათიანი კაცი.

არშაკა. ამინ! (სვამენ).

სტეფანე. ციფრები კი არა, ჩინოვნიკმა რომ ეს ღვინო დალიოს, ვინ იცის, ინდაურები სტოლნაჩალიკი ეგონოს. (შემოდის ბარბარე).

V

იგინივე, ბარბარე და შემდეგ გრიშა.

ბარბარე. (მოახლის ხელობაზე ტანსაცმელი ეცვიათ ერის გამოწყობილი. ხნიერია, მაგრამ ფერ-უმარილით ეჯეიდების თავს. კაბასი ქალია. ქალალდში გამოხვეული ფეხსაცმელები უჭირავს ხელში). გამარჯვება შენი სტეფინე.

სტეფანე. ოო, ბარბარე ქაიხოსრიჩ, პაჟალტე, პაჟალტე.

ბარბარე. (შეუბღვერს) მე სახუმაროთ არ მოვსულვარ შენთან. ფეხსაცმელები უნდა შამიკერო.

სტეფანე (მხიარულათ) ოჩენ პრიატნა. ფეხსაცმელები შაგიკერო რომ ანტიკა!

ბარბარე. (ქალალდში შეხვეულ ფეხსაცმელს აძლევს). ეს ხაზეინის ფეხსაცმელია და დღეს უნდა იყოს მზათ იცოდე. შუადღის პოეზდით მიდის.

სტეფანე. ბუდიტ, ბუდიტ, აბეზატელნა ბუდიტ. (დიმიდით) შენ ეს მითხარი ტუფლები გინდა თუ პოლსაპოშკები?

ბარბარე პოლსაპოშკები რა ეშმაკათ მინდა! ღია ტუფლები შამიკერე, რომ ჩულქები არ დაიმალოს.

სტეფანე. (სიცილით) მაშ ატკრიტი გინდა რაღა რომ ატარო. გინდა რაღა, რომ დახრუკო კავალრები. (მიუახლოვდება) დიდი ეშმაკი ხარ შე წყეულო შენა. (დოუაზე ხელი უნდა აუსვამს).

ბარბარე. (მოიშორებს) ხელი გასწიე იქით, თორემ ამას ჰხედავ! (მუშტს მოუღებს)

სტეფანე. ვა, რა გაჯავრებს! გეხუმრე გოგო, შე სასიკვდილე შენა.

ბარბარე. (გაჯავრებული) შენი სახუმარო სახლში გეყოლება შე მაიმუნო შენა. შენ იქნება ვინმე მაწანწალა გგონივარ!

სტეფანე. ვა, ბარბარე ქაიხოსრიჩ, ზაჩემ სერჩაიშ, მგონიხარ რა, ვერ გიცნობ?

ბარბარე. ჰო და ჭკვიანათ იყავი გირჩევნია.

აბრშაკა. ვა, რას ცხარობ! კაცი გაგეხუმრა, სხვა ხომ არაფერი უქნია!

ბარბარე. (შეუვვირებს ფეხების ბრახუნით) ხმა გაიქრე, შენ ვინ გკითხავს რომ ეჩრები! დაგდებულხარ რუმბიეით და ლაქლაქობ. არა, შენ ვინა გკითხავს შე მძორო, შე ლეშო შენა!

არშაკა. (გაჯავრდება) ჰა, ჰა, ნუ გააფრინე, თორემ ხომ იცი!

ბარბარე. (მიიწევს) ხმა გაიქრე მეთქი!

სტეფანე. (გადაედობება და სიცილით) ვა, ბარბარე ქაიხოსრიჩ, ვინ გაიგონა ბარიშნა და ჩხუბი!

ბარბარე. როგორ თუ ნუ ვჩხუბობ! არა, ვინ ეშმაკია რომ დაგდებულა მორგვივით და ატარტარებს ენას!

არშაკა. მალჩი, მალჩი; ია ტებე ლავარიუ!

ბარბარე. უი, შე ყასაბხანის კუნძო, შენა!

სტეფანე. კარგია ვა, რა გაჯავრებს!

ბარბარე. როგორ თუ რა მაჯავრებს! არა როგორ გაბედა ჩემზე ლაპარაკი! მიცნობს, ვიცნობ თუ რა არის!

სტეფანე. (ეშმაკური სიცილით) მუჟიკურათ მოუვიდა, ბარბარე ქაიხოსრიჩ, მაგრამ ახლა ევროპეიცკათ გაგაცნობ. ჩესტ იმეიუ პაზნაკომით არშაკ არშაკიჩ ტერ-რუმბიანც.

ბარბარე. მეხი მაგასაც დაეაყარე და მაგის გაცნობასაც.

არშაკა. ჰა, ჰა, თორემ იცი რას გიზამ!

ბარბარე. ხმა გაიქრე მეთქი! არა, რას მიზამ შე სასიკვდილე შენა!

სტეფანე. (მხარზე ხელს დაჰკრავს) კარგია ბარბარე ქაიხოსრიჩ, შავრიგდეთ. მე და შენ ხომ ძველი ზნაკომები ვართ.

ბარბარე. (შეუბღვერს სტეფანეს) შენ ხელი დაიმოკლე და ეს ზომა აიღე გირჩევნია.

სტეფანე. (სწრაფათ დაუდგამს სკამს) დაბრძანდი, დაბრძანდი და ისეთი აკურატნი ზომა ავიღო რომ სულ კუკლასავით ტუფლები გამოვიყვანო.

ბარბარე. კარგი ტყავი იყოს, თორემ არ ვიცი რას გიზამ. (ბატინკების შნურს იხსნის).

სტეფანე. (მივარდება) მაიცა, მაიცა, შენ რათ სწუხდები, მე გაგიხსნი.

ბარბარე. საჭირო არ არის. მე თითონ გავიხსნი კიდეც და გავიხდი კიდეც. (იხდის)

სტეფანე. შენი ნებაა. (პატარა სკამს მიუდგამს) ამაზე დადგი ფეხი. (სტეფანე საზომი ქაღალდით ხელში ჩაჯდება და ზომას უღებს) შენ ეს მითხარი ხალვათი გიყვარს, თუ მოჭერილი?

ბარბარე. როგორ, ხელობას ჩემზე სწავლობ! ისე შეკერე როგორც რიგი და წესია.

სტეფანე. მაშ აბიკნავენი გინდა რაღა! ძალიან კარგი. (სტეფანე ეშხზე მოსული იბნევა. ზომის ქაღალდი ერთ ადგილას გაუჩერდება) უჰ, შენი ჭირიმე, რა ფეხია!

ბარბარე. ჰა, მორჩი მალე.

სტეფანე. მაიცა, დუშკა, მაიცა, აღარ გამაზომინებ!

ბარბარე. დუშკას მოგცემ თავში, მე ვიცი შენ გამამტყუებ რამეს.

სტეფანე. (ცოტათი კაბას აუწევს და კანჭზე დააშტერდება) უჰ, კელაპტარია რაღა, კელაპტარი!

ბარბარე. ჰა, რით ვერ გაათავე!

სტეფანე. სიჩას, სიჩას, დუშკა! (ხან სიგრძეს უზომავს ფეხისას, ხან სიგანეს, ხან ქუსლს, ხან თითებს. აღარ უნდა რომ მოშორდეს. გაშტერებული უყურებს და შემდეგ ამოიოხრებს) ახ, ნეტავი ჩულქები ვიყო!

ბარბარე. (შეუტევს) რას ბუტბუტებ, ვერ მორჩი!

სტეფანე. ეხლავე, ეხლავე, ერთი კანჭის ზომაც ავიღო. (კაბას აუწევს მუხლებამდის)

ბარბარე. (წაუშენს თავში და წამოვარდება) უი, შე ძაღლო-მამაძაღლო, შე რაზბონიკო შენა!

სტეფანე (გაშტერებული) ვა, რა იყო ადამიანო, რას იცემები!

ბარბარე. (ურტყამს) როგორ თუ რას ვიცემები! სულ თმებს დაგაგლეჯავ შე გათახსირებულო, შენ! როგორ, შენ უპატრონო ხომ არა გგონივარ!

სტეფანე. (დაბნეულად) ქრისტიანო ზომას აღარ ამაღებინებ!

ბარბარე. (ურტყავს) არა, შე სასიკვდილევ, ტუფლის ზომას მუხლებთან რა უნდა! შე საძაგელო, შე გახრწნილო, შენა!

სტეფანე. (ყვირის) მიშველიეეეთ, მიშველეეეთ!

არშაკა. (წამოვარდება) რა ამბავია რა, ქვეყანა შენია!

ბარბარე. (შეუტევს) როგორ თუ რა ამბავია! (არშაკა უკან-უკან იწევს) არა, შენ ვინ გკითხავს შე გაბერილო, შე მაჯლაჯუნავ, შე მუხის კუნძო შენა!

არშაკა. დაიოლნა, დაოლნა, ნუ ყვირი.

ბარბარე. თქვენ იქნება უპატრონო გგონივართ! წავიდე ერთი ჩემ ძმას უთხრა და ის მოვა თქვენ ოხტში. (მიდის, მაგრამ კარებთან ისევ მობრუნდება) მე თუ თქვენ ჩემი გალანძღვა იაფათ დაგი-

სოთ, მაშ მე ქალი არ ვიყო, სულ თავპირს დაგამტვრევთ, თქვე სალახანებო, თქვენა! (უკან-უკან მიდის ლანძღვით. კარებთან უცებ შემოტრიალდება გასასვლელად და მომავალ გრიშას დაეტაკება, რომელსაც ხელში დიდი ჯამი ხაშით ჭირავს. ბარბარეს გადაესხმება. ბარბარე კაბას გაიბერტყავს და შემდეგ ძალიან გაჯავრებული დაავლებს ხელს კალაპოტს, ჩაქუჩს და ერთი სიტყვით რაც მოხვდება ხელში და დაუშენს სტეფანეს და არშაკას). ეს რა არის, ეს რა ამბავია? (დასველებულ კაბას აჩვენებს) სულ თქვენი ბრალია ეს ყველაფერი, თქვე ავაზაკებო, თქვე სალახანებო თქვენა! დამაცადეთ, მე თქვენ გაჩვენებთ სეირს. (მობრუნდება და სწრაფათ გადის).

გრიშა. (რომელიც აქამდის შიშისაგან მოკუნტული და სახე დაღრეჯილი იდგა, რა დაინახავს მისკენ მიმავალ გაშმაგებულ ბარბარეს დაიწყებს დრიალს) ვაიმე დედილო, ჩემი ბრალი არ არის!

გოგია.

(დასასრული იქნება)

განშორდა

ა. პ. ჩეხოვი

ისადილეს. მათი კუჭი სრულ ნეტარებას განიცდიდა, პირი უნებურათ იღებოდა და ამთქნარებდა, თვალები ტკბილი თვლემისგან ვიწროვდებოდა და იხუჭებოდა. ქმარმა სიგარა გააბოლა, ერთი გაიზმორა და ლოგინზე გაიშხლართა. ცოლი კი ხრუტუნით თავთან მიუჯდა... ბედნიერნი იყვენ...

— მიამბე რამე...— მთქნარებით წარმოსთქვა ქმარმა.

— აბა რა უნდა გიამბო!.. ჰმმ... აჰ მართლა! შენ გაიგე? სოფიო ოკურკოვას ქალი ცოლათ გაყოლია აი იმას... ე-ე-ე... რა გვარია... ფონტრამბს!... აი უბედურება თუ გინდა ეს არის!

— და მერე რაში გამოიხატება უბედურება?

— რაში? ტრამბი ხომ არამზადაა! ის ისეთი საძაგელია... ისეთი, უსინდისო ადამიანია! ყოვლად უპრინციპო! სულიერათ მახინჯი... უწინ გრაფთან მსახურებდა გამგეთ და ჯიბეც კარგად გაისქელა, ახლა რკინის გზაში მსახურობს და იქაც ქურდობს... თავისი დაი გაძარცვა... ერთი სიტყვით ქურდი და ავაზაკია... და ასეთ ადამიანს ცოლათ გაყვება ქალი?! მასთან იცხოვრებს?! საკვირველია ღმერთმანი! ასეთი ზნეობის ქალიშვილი და... აი დახე! არა, ასეთ პიროვნებას არას დიდებით არ გავყვებოდი! თუ გინდ მილიონის პატრონი ყოფილიყო! თუ გინდ ისეთი ლამაზი, ისეთი მომხიბვლელი ყოფილიყო რომ... რომ... რა ვიცი რას შევადარო... მე მაინც, მე მაინც შევაფურთხებდი მას! წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რომ მე მყავდეს ქმარი—ავაზაკი!

ცოლი წამოხტა ადგილიდან. სახე გაწითლებული და აღელვებული მოჰყვა ოთახში სიარულს. მისი თვალები რისხვით აენთო, მისი გულწრფელობა აშკარად სჩანდა.

— ოჰ, ეს ტრამბი ისეთი ქმნილებაა, რომ არ ვიცი... და ათას ჯერ ბრიყვი და სულელი უნდა იყოს ქალი, რომელიც ასეთ ადამიანს გაყვება.

— ძლიერ კარგიიი... შენ რასაკვირველია არ გაყვებოდი... ასე იყოს... მაგრამ ეს მითხარი, აი ახლა, ვთქვათ, გაიგე რომ მეც ისეთივე არამზადა ვარ! რას იზამ მაშინ?

— მეე? მაშინვე გაგშორდებოდი! ერთ წამსაც არ მოვიცდიდი შენთან! მე შემიძლია მიყვარდეს მხოლოდ მართალი და პატიოსანი კაცი! აი რომ გავიგო, შენ თუ გინდ იმის მეასედი ჩაგიდენია რაც ტრამბს, მე იმ წამსვე, გათავდა! მაშინ **Adieu**!

— ძლიერ კააარგი .. ჰმ... აი როგორი ქალი მყოლიხარ... მე კი ეს აქამდე არც კი ვიცოდი. ხე-ხე-ხე... სცრუობს დედაკაცი და არც კი წითლდება!

— უკაცრავად, მე არას დროს არ ვცრუობ! სცადე ერთი სიგლახის ჩადენა და მაშინ ნახავ!

— აბა მითხარი რა მაქვს საცდელი? განა თვითონ არ იცი... მე ხომ გაცილებით უფრო დახელოვნებული ვარ ასეთ საქმეში, ვიდრე შენი ფონტრამბი! ტრამბი რა არის? ის უბრალო ჯიბგირია ჩემთან შედარებით. როგორ, შენ გიკვირს?—საკვირველია... (პაუზა) რამდენს ვიღებ მე ჯამაგირს?

— სამი ათასს წლიურათ.

— კარგი. აბა რამდენი ღირს ახლა ბეჭედი, რომელიც გასულ კვირას გიყიდე?—ორი ათასი, ხომ ასეა? ამას მიუმატე გუშინდელი ტანსაცმელის ხუთასი... აგარაკის ორი ათასი... ხე-ხე-ხე! გუშინ მამაშენმა კიდევ ათასი მანეთი გამომცანცლა...

— კი, პიერ, მაგრამ დამატებითი შემოსავალი ხომ...

— ახლა ცხენები... შინაური ექიმი... მკერავი ქალების ანგარიში. სამი დღის უკან შენ კიდევ ასი მანეთი წაიღე...

ქმარი წამოიწია, თავი მუშტებზე დააყრდნო და მთელი საბრალმდებლო ოქმი წაიკითხა. ბოლოს საწერ მაგიდასთან მივიდა და ცოლს გადაუშალა თვალწინ რამოდენიმე თვალდასანახი დამამტკიცებელი საბუთები.

— აი ახლა ხომ ხედავ, ჩემო კარგო, რომ შენი ტრამბი ჩემთან მონაგონი არ არის, რომ ის ჩემთან შედარებით უბრალო ჯიბგირია!.. მაშ Adieu! წადი და ნუ გამკიცხავ!

მე გავათავე მკითხველო. მაგრამ შესაძლებელია თქვენ კიდევ დამეკითხოთ:

— მერე რა ჰქნა ქალმა, წავიდა, განშორდა თავის ქმარს თუ არაო?

დიახ განშორდა... მეორე ოთახში გავიდა...

პოდბიპენტა.

წერილი რედაქციას

,,ეშმაკის მათრახის‘‘ 38 ნომერში ბ-ნი მახინკალე ეხება და ჩირქსა სცხებს ჩემს პიროვნებას. სიმართლის აღსადგენათ ვიწვევ მას სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრით მედიატორეებათ ვნიშნავ: დიმიტრი მესხს, ვარლამ მეძმარიაშვილს და პროკობი კანდელაკს. ვსთხოვ კეთილ ინებოს და მობრძანდეს ბ-ნი მახინკალე ბაშის სამინისტრო სკოლის შენობაში იმ თვის 1, შუადღის 12 საათზე. აქედანვე ვაცხადებ, რომ მტყუანმა ჩვენ შორის, უნდა გადაიხადოს ქ. შ. წ. კ. საზოგადოების სასარგებლოთ 20 მანეთი ჯარიმა.

კოპიტნარელი გურული.

ჩვენი ფოსტა

როკოკოს — „თავგადასავალი“ არ დაიბეჭდება.

მახინკალე. „ღია წერილი კოპიტნარის...“ არ დაიბეჭდება.

ტაიფუნს. „ყურ მოკრული საუბრები“ არ დაიბეჭდება.

ენუქის. „აი ეს ლექსი დავსწერე მე მოსკოვში და არ ვიცი კი როგორ დავსწერეო“ იწერებით პატივცემულო ენუქი:

„ბავშვების სიმღერა“.

ამხიარულეთ გულები
ცისკრის ლაჟვარდსა უმღერეთ
უდარდელები ფიქრები.
მხიარულნი დრონი კი წავლენ
თქვენც მოგეწევის ავის
გულის ნაღველათ შეგეცვლით
მაგ უდარდელი დრონია.
იმღერეთ, იმღერეთ ხაზი გაუსვით მაგ დროსა
შემდეგში მოვა კი სხვა დრო და სხ...“

თქვენი დარიგებისა არ იყოს, ჩვენც გვინდოდა „ხაზი გაგვესო“ ამ ლექსისათვის, მაგრამ არ ვიცით რატომ არ გავუსვით.

ალექსანდრეს იბოლს. „მით მეინტერესება ამ წერილის დაბეჭდვა, რომ შინაარსიანი არისო“ იწერებით.

ამისთანა შემთხვევაზე ქართული ანდაზა ამბობს: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.“

ოსტატს. ,,ჯერ გადავულაპე **ნინუა**
და ჩავისველე ყელია.“

ასე იწყებთ თქვენს მესტვირულს, მაგრამ მე რომ **აფრასიონ ნინუას** ვიცნობ, რაც უნდა ოსტატი იყოთ იმისი გადაყლაპვა უხიფათოდ არ ჩაგივლით. ბედი თქვენი თუ ის არ არის.

ივანდიდელ გორდაძეს თქვენი ლექსი სოფელ ივანდიდისადმი საპრემიოა. ჩვენც მხოლოდ ამ მოსაზრებით ვბეჭდავთ ამ ორიოდ კუპლეტს:

,,ქალებმა არ მოიშალეს
თავიანთ ცუდ ჩვეულებანი,
შვადამეზე ქუჩა-ქუჩა სეირნობა:
დადიან და ტაშს უკრავენ
ვით მათრახის ეშმაკიო,
ხან ვეჩერი, ხან ხაჭაპური,
ხან მაკენის სიკვდილიო.
ერთ შაბათ სალამოსათ
დადგენ ვიჩერიო:
ავდექი და მეც წავედი,
რომ მავედი შუა კარებში
მე ფიქრები გამექცა...‘‘

როდესაც ასეთი საჭირო ადგილას მიდიხართ ყოველთვის სიფრთხილეა საჭირო. კიდევ დიდი მოთმინება ჰქონია იმ „ფიქრებს“ რომ უფრო ადრე არ გაიქცენ. „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს...“

რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა. ვ. რუხაძისა, გაზაფხულის შესახვ.,